

შპს „ჯი სი ჯი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი
2025

ს ა რ ლ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ჯი სი ჯი“-ს 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „ჯი სი ჯი“-ს 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი



კობა ჭანტურია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი სი ჯი“-ს 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ჯი სი ჯი“-ს პარტნიორებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი სი ჯი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი – 405039015) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდკ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ,

არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

25 სექტემბერი, 2025 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 836 972	5 685 223	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	1 215 005	1 868 351	3.2
მარაგები	1 309 991	1 404 029	3.3
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	90 171	72 042	
სხვა მიმდინარე აქტივები	5 892	94 979	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	5 458 030	9 124 623	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	9 310 243	4 984 644	3.4
საინვესტიციო ქონება	398 303	-	3.5
არამატერიალური აქტივები	1 217	479	3.4
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	489 311	419 584	3.6
გრძელვადიანი აქტივები სულ:	10 199 073	5 404 707	
აქტივები სულ:	15 657 103	14 529 330	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	153 772	278 184	3.7
სახელშეკრულებო ვალდებულებები	68 267	54 507	3.8
საგადასახადო ვალდებულებები	573 774	559 703	3.9
მოკლევადიანი სესხები	466 626	555 451	3.10
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 616 052	856 239	3.11
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	2 878 491	2 304 084	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	3 778 393	4 306 371	3.12
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	3 778 393	4 306 371	
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	1 215	1 215	3.13
დაგროვილი მოგება	8 999 004	7 917 660	
კაპიტალი სულ:	9 000 219	7 918 876	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	15 657 103	14 529 330	

Type text here

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 25 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი




კოზა ჭანტურია

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 38-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	45 758 270	33 797 239	3.14
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(34 335 508)	(25 931 654)	3.15
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	11 422 762	7 865 585	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 687 682)	(1 528 447)	3.16
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(83 023)	(337 795)	3.17
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	8 652 056	5 999 343	
ფინანსური შემოსავალი	66 645	20 928	3.18
ფინანსური ხარჯი	(333 475)	(40 562)	3.19
წილი მეკავშირე საწარმოს მოგება/(ზარალში) წილობრივი მეთოდით განსაზღვრული	69 727	27 165	3.6
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	37 118	(10 548)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15 304	39 783	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(26 030)	(16 420)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	8 481 344	6 019 689	
მოგების გადასახადი	(638 250)	(354 880)	
წლის წმინდა მოგება	7 843 094	5 664 809	
წლის სრული შემოსავალი	7 843 094	5 664 809	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



კობა ჭანტურია

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 38-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ განთავსებული კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-სთვის	1 215	6 012 523	6 013 738
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	5 664 809	5 664 809
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	1 215	11 677 331	11 678 547
განაწილებული დივიდენდი	-	(3 759 671)	(3 759 671)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(3 759 671)	(3 759 671)
ნაშთი 31.12.2023-სთვის	1 215	7 917 660	7 918 876
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	7 843 094	7 843 094
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	1 215	15 760 754	15 761 969
განაწილებული დივიდენდი	-	(6 761 750)	(6 761 750)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(6 761 750)	(6 761 750)
ნაშთი 31.12.2024-სთვის	1 215	8 999 004	9 000 219

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი




კობა ჭანტურია

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 38-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


(1 ლარი)

	2024 წელი	2023 წელი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	54 213 835	37 579 710	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	2 860	-	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(38 309 695)	(29 018 712)	
გაცემული შრომის ანაზღაურება (საპენსიო შენატანების ჩათვლით)	(1 497 397)	(1 240 146)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(56 736)	(31 680)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-	(2)	
გადახდილი გადასახადები	(3 207 456)	(2 062 650)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შემოსულობანი/(განაცემები)	(882 673)	18 051	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	10 262 738	5 244 570	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(5 660 111)	(249 381)	
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	-	8 475	
მიღებული პროცენტები	66 645	20 928	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(5 593 466)	(219 978)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	1 600 000	6 813 200	
სესხების დაფარვა	(2 143 650)	(2 642 135)	3.20
გადახდილი პროცენტები	(333 635)	(38 265)	
გადახდილი დივიდენდები	(6 580 913)	(3 659 122)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(7 458 197)	473 679	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(59 325)	(27)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(2 848 251)	5 498 244	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	5 685 223	186 978	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	2 836 972	5 685 223	

Type text here

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი





კოზა ჭანტურია

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 38-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი სი ჯი“-ს (შემდგომში – *კომპანია*) მიერ. შპს „ჯი სი ჯი“ დარეგისტრებულია 2014 წლის 15 აპრილს საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – 405039015, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ. N 6, ბ. 3. *კომპანია* დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* პარტნიორებს წარმოადგენენ:

- შპს „ვი თი ჯგუფი“ (ს/ნ 205143824) – 42.50%;
- ირაკლი ფირცხალაიშვილი (პ/ნ 01031000430) – 20.50%;
- გიორგი როგავა (პ/ნ 01008010178) – 20.50%;
- ირაკლი გოგია (პ/ნ 01024020630) – 5%;
- კობა ჭანტურია (პ/ნ 01012017892) – 11.50%.

1.3. *კომპანიის* მართვის ორგანოებია:

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას. პარტნიორთა კრების მიერ ინიშნება დირექტორები. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი – კობა ჭანტურია.

1.4. *კომპანიას* ჰყავს მეკავშირე საწარმო:

შპს „ქემიქალს“, საიდენტიფიკაციო ნომერი 405039426, რეგისტრირებული 16.04.2014 წ. იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. N 6, ბინა 3. წილობრივი მონაწილეობა – 40% (50%-ს ფლობს შპს „ვი თი ჯგუფი“, ხოლო 10%-ს – ფიზიკური პირი ირაკლი გოგია).

1.5. *კომპანიის* ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

- ასფალტის წარმოება და რეალიზაცია;
- ასფალტის დაგებასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ბიტუმის ემულსიის წარმოება და რეალიზაცია.

1.6. ბიზნეს-გარემო:

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით.

1.7. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) სრულ ვერსიასთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.2. გათვალისწინებულია ფასს-ების ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ *კომპანიის* მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში *კომპანია* შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, *კომპანიის* 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.3. *კომპანიის* მიერ 2024 წელს ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა:

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად. *კომპანიის* ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება – პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. ამონაგები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია ამონაგების შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, დადებითი სავალუტო საკურსო სხვაობა, შემოსავალი დივიდენდებიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი (უძრავი ქონებისათვის და ასფალტ-ბეტონის ქარხნისთვის, ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის, რაც არის 2018 წლის 01 იანვარი, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით გადაფასებული ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება ფასს 1-ის შესაბამისად).

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებად ნაშთთა მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ძირითადი საშუალება/საინვესტიციო ქონება არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად, კომპანიის მიერ დასახული მიზნებისათვის.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებად ნაშთთა მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 2%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 10%;
მანქანა-დანადგარები	- 10-20%;
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	- 20%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20%;
საოფისე აღჭურვილობა	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 20%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ვ) მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც *კომპანია* ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება სხვა საწარმოზე, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს.

ერთობლივი საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებსაც კომპანია აკონტროლებს სხვა პირებთან ერთად, რას ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული კომპანიის თანხმობის გარეშე.

მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციები გაიანგარიშება წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასებისთვის/აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს ამორტიზებულ ღირებულებას.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აკლასიფიცირებს როგორც „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებს“.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნებით, გაცემული სესხით, ფულითა და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

გაუფასურება

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის 5.5.15-ის შესაბამისად და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო მოთხოვნების მუხლზე, საიჯარო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივზე. ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი ზარალები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს გადახურავს მაშინ, როდესაც ურთიერთობათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.4. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლებოდა საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (ძირითადად – ფინანსური დაწესებულებებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, გარდა ზოგიერთი სახის საწარმოსი (მაგალითად, კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრირებული პირები...), როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად - ისეთი შვილობილი საწარმოების არსებობისას, რომლებიც არ არიან მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისათვის - 20%).

2.5. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.6. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი; 1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2024 წლის საშუალო კურსები:

1 აშშ დოლარი = 2.7208 ლარი; 1 ევრო=2.9440 ლარი.

2023 წლის საშუალო კურსები:

1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

2.7. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

• შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

• ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები:

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით
- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესახებ
- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული)

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშგაღებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - როგორ გამოვიყენოთ ფასს 19:

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	2 836 972	5 685 223
	<u>2 836 972</u>	<u>5 685 223</u>

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ადგილობრივი დამკვეთები	1 843 592	2 413 915
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(628 587)	(545 564)
	1 215 005	1 868 351

3.3. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნედლეული	1 013 355	1 275 517
სათარიგო ნაწილები	217 178	95 251
სხვა მარაგები	79 458	33 261
	1 309 991	1 404 029

მარაგების მიმართ კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, მათი თვითღირებულება განისაზღვრება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდით, თუ ეს შესაძლებელია, ხოლო სხვა შემთხვევებში - გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ზემოთ აღნიშნული მარაგები ასახულია თვითღირებულებით და არც 2023 წლის 31 დეკემბრის და არც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურებული არ არის.

მარაგები ძირითადად გამოყენებულია წარმოების პროცესში. იმ მარაგის თვითღირებულება, რომელიც 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის საერთო-ადმინისტრაციულ ან არასაოპერაციო ხარჯად პირდაპირ იქნა აღიარებული, შეადგენს 14 377 ლარს.

3.4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი (GEL)	სხვა (GEL)	სულ (GEL)
პირვანდელი ღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 310 457	2 871 273	3 704 244	20 144	11 172	13 134	41 245	7 971 668
დამატება	3 580 096	649 246	544 317	1 402	5 482	16 655	42 544	4 839 741
სულ პირვანდელი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 890 552	3 520 519	4 248 560	18 325	16 654	29 789	79 241	12 803 641
ცვეთა და გაუფასურება								
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	94 315	1 343 341	1 501 464	7 044	7 296	8 280	25 284	2 987 024
ცვეთის ხარჯი	31 572	206 380	255 703	2 634	1 503	3 512	8 623	509 926
სულ აკუმულირებული ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125 886	1 549 721	1 757 167	8 631	8 798	11 792	31 402	3 493 399
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 764 666	1 970 798	2 491 393	9 694	7 856	17 997	47 839	9 310 243

პირვანდელი ღირებულება

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამატება
(შემცირება)

**სულ პირვანდელი ღირებულება 2023 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით**

ცვეთა და გაუფასურება

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცვეთის ხარჯი
ჩამოწერა

**სულ აკუმულირებული ცვეთა 2023 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით**

**საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით**

მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი (GEL)	სხვა (GEL)	სულ (GEL)
1 269 355	2 779 668	3 414 488	13 703	11 172	13 134	40 153	7 541 673
41 102	99 899	306 186	6 441	-	-	1 091	454 718
-	(8 293)	(16 430)	-	-	-	-	(24 723)
1 310 457	2 871 273	3 704 244	20 144	11 172	13 134	41 245	7 971 668
78 078	1 186 273	1 302 290	4 157	6 430	7 192	21 799	2 606 218
16 236	157 416	211 318	2 888	866	1 089	3 485	393 297
-	(348)	(12 143)	-	-	-	-	(12 491)
94 315	1 343 341	1 501 464	7 044	7 296	8 280	25 284	2 987 024
1 216 142	1 527 932	2 202 779	13 099	3 876	4 854	15 961	4 984 644

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ღირებულებით 207101.69 ლარი, (გარდაბანი, სოფ.მარტყოფი, ვაზიანი ს.კ. 81.10.28.591) ადევს იპოთეკა და დატვირთულია შეზღუდული სარგებლობის უფლებით:

- სს „საქართველოს ბანკის“ (204378869) სასარგებლოდ. იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000168624, დამოწმების თარიღი 16/08/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იპოთეკის საგანს წარმოადგენს მიწის დაზუსტებული ფართობი: 14265.00 კვ.მ. და მასზე მდგომი შენობა N1.
- მიწის ნაკვეთზე ფართობით 781კვ.მ. ვრცელდება სერვიტუტის უფლება სს „საქართველოს ბანკის“ (204378869) სასარგებლოდ. ბრძანება, რეესტრის ნომერი N1/6-441, დამოწმების თარიღი 15/04/2015, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ღირებულებით 75000.00 ლარი, (გარდაბანი, სოფ.მარტყოფი, ვაზიანი ს.კ. 81.10.28.592) ადევს იპოთეკა და დატვირთულია შეზღუდული სარგებლობის უფლებით:

- სს „საქართველოს ბანკის“ (204378869) სასარგებლოდ. იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000128824, დამოწმების თარიღი 09/12/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იპოთეკის საგანს წარმოადგენს მიწის დაზუსტებული ფართობი: 7090.00 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობებით.
- მიწის ნაკვეთზე ფართობით 609კვ.მ. ვრცელდება სერვიტუტის უფლება სს „საქართველოს ბანკის“ (204378869) სასარგებლოდ. ბრძანება, რეესტრის ნომერი N1/6-441, დამოწმების თარიღი 15/04/2015, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ღირებულებით 70000.00 ლარი, (გარდაბანი, სოფ.მარტყოფი, ვაზიანი ს.კ. 81.10.28.593) ადევს იპოთეკა:

- სს „საქართველოს ბანკის“ (204378869) სასარგებლოდ. იპოთეკის ხელშეკრულება N CAH000168624, დამოწმების თარიღი 16/08/2016, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იპოთეკის საგანს წარმოადგენს მიწის დაზუსტებული ფართობი: 6818.00 კვ.მ. მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ით.

	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
პირვანდელი ღირებულება		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	932	932
დამატება	932	932
სულ პირვანდელი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 864	1 864
ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	453	453
ამორტიზაციის ხარჯი	194	194
სულ აკუმულირებული ამორტიზაციის ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	647	647
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 217	1 217

	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
პირვანდელი ღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	932	932
სულ პირვანდელი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	932	932
ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	375	375
ამორტიზაციის ხარჯი	78	78
სულ აკუმულირებული ამორტიზაციის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	453	453
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	479	479

3.5. საინვესტიციო ქონება:

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
პირვანდელი ღირებულება		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
დამატება	403 271	403 271
სულ პირვანდელი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	403 271	403 271
ცვეთა და გაუფასურება		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
ცვეთის ხარჯი	4 968	4 968
სულ აკუმულირებული ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 968	4 968
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	398 303	398 303

კომპანიამ 2024 წლის იანვარში შეიძინა უძრავი ქონება (მიწა შენობა-ნაგებობებით, მისამართზე: თბილისი, ლილოს დასახლება, დავით კობახიძის ქ. №44), რომლის ნაწილი აღიარდა საინვესტიციო ქონებად, რადგან გაცემულია იჯარით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულების მოდელის შესაბამისად.

ამ საინვესტიციო ქონების იჯარით გაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა დღგ-ისა და კომუნალური ხარჯების კომპენსაციების გარეშე 2024 წელს შეადგინა **36 022** ლარი.

3.6. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში:

შპს „ჯი სი ჯი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია შპს „ქემიქალს“-ში განისაზღვრება შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ინვესტიციები შპს "ქემიქალს"-ში	489 311	419 584
	489 311	419 584

	2024 წელი	2023 წელი
წილი შპს "ქემიქალს"-ის მოგება/(ზარალში)	69 727	27 164
წილობრივი მეთოდით განსაზღვრული	69 727	27 164

	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები	483 176	355 239
სულ აქტივები	831 956	781 854
ამონაგები	1 221 762	1 125 342
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	254 306	161 039
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	175 922	67 702
წლის წმინდა მოგება	174 318	67 911

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
რეზიდენტი კომპანიები	153 772	278 184
	153 772	278 184

3.8. სახელშეკრულებო ვალდებულებები:

ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულებების მოძრაობას, მათ შორის, რა ნაწილი აღიარდა ამონაგებში სახელშეკრულებო ვალდებულებების (ავანსების) შესრულების გამო.

	2024 წელი	2023 წელი
01 იანვარი	54 507	6 216
აღიარებული ამონაგები	(44 746)	(4 861)
აღიარებული ამონაგებთან დაკავშირებული გადასახადი	(8 054)	(875)
მიღებული ავანსი დღ-ის ჩათვლით	66 560	54 027
31 დეკემბერი	68 267	54 507

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გადასახადების ნაშთი ერთიან საგადასახადო ბარათზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(363 422)	359 242
გადასახადები, რომლებიც აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	937 196	200 462
	573 774	559 703

3.10. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	463 280	551 268
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	3 346	4 183
	466 626	555 451

3.11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	312 936	815 918
გადასახდელი მენეჯმენტის პრემია	1 281 926	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21 190	40 321
	1 616 052	856 239

3.12. გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	3 778 393	4 306 371
	3 778 393	4 306 371

სესხის გამგები	სესხის გაცემის თარიღი	სესხის ვადა (თვე)	სესხის დასრულების თარიღი	დენომინირების ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის მოცულობა (ხელშეკრულებით)	თანა ვალუტაში 31/12/2024-ის მდგომარეობით	გაცვლით კურსი 31/12/2024- სთვის	თანა ეროვნულ ვალუტაში 31/12/2024-ის მდგომარეობით
საქართველოს ბანკი	14.05.2019	60	15.05.2024	EUR	LIBOR განაკვეთს + 4.90%, მინ. 4.90%	360 000.00	-	2.9306	-
საქართველოს ბანკი	27.12.2023	96	29.12.2031	EUR	EURIBOR განაკვეთს + 4.50%, მინ. 6.50%	1 852 000.00	1 447 374	2.9306	4 241 673
საქართველოს ბანკი	02.05.2023	12	01.05.2024	GEL	13%	1 500 000.00	-	1	-

წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები აქვს წარმოშობილი სს „საქართველოს ბანკს“ (ს/ნ 204378869). კერძოდ:

ირაკლი ფირცხალაიშვილის (პ/ნ 01031000430) საკუთრებაში არსებული 20.5% წილზე შპს „ჯი სი ჯის“ (ს/ნ 405039015) კაპიტალში, ქონების განკარგვის უფლების და ვალდებულების ალების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებით NCL000472135-9628709 (06.10.2022 წ.) გათვალისწინებული ვალდებულება.

ირაკლი ფირცხალაიშვილის (პ/ნ 01031000430) საკუთრებაში არსებული 16.5% წილზე შპს „ჯი სი ჯის“ (ს/ნ 405039015) კაპიტალში, ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის შესახებ 2021 წლის 24 თებერვლის N01031000430 შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება. საფუძველი:

- #B21017366, ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის შესახებ შეთანხმება N01031000430, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 25/02/2021.

ირაკლი ფირცხალაიშვილის (პ/ნ 01031000430) საკუთრებაში არსებული 20.5% წილზე შპს „ჯი სი ჯის“ (ს/ნ 405039015) კაპიტალში, ქონების განკარგვის უფლების და ვალდებულების ალების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებით N405408937 (19.08.2022 წ.) გათვალისწინებული ვალდებულება. საფუძველი:

- ვალდებულების რეგისტრაცია #B22104016, განცხადება/განაცხადი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 22/08/2022.

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე – მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „საქართველოს ბანკს“ (ს/ნ 204378869), რომლის საფუძველია:

- გირავნობის ხელშეკრულება, CAP000199078, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 30.01.2017 (გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R17029102 30/01/2017). გირავნობის საგანს წარმოადგენს არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი: ასფალტის ქარხანა (სრული კომპლექტაცია, იხ. გირავნობის ხელშეკრულება);
- გირავნობის ხელშეკრულება, CAP000562617, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, B22008158, 28.01.2022 (გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R22077028 31/01/2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: კობა ჭანტურიას (01012017892) საკუთრებაში არსებული შპს ჯი სი ჯი-ს (405039015) კაპიტალის 11.5%-იანი წილი.
- გირავნობის ხელშეკრულება, 778330-ჯ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 07.10.2022 (გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R22732682 13/10/2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: შპს „ვი თი ჯგუფის“ (ს/ნ 205143824) საკუთრებაში არსებული შპს „ჯი სი ჯი“-ს (405039015) კაპიტალის წილი: 42.5%-იანი წილი.
- გირავნობის ხელშეკრულება, 15963662-01, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 27.10.2022 (გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R22764878 27/10/2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: ირაკლი გოგიას (01024020630) საკუთრებაში არსებული შპს „ჯი სი ჯი“-ს (405039015) კაპიტალის 5%-იანი წილი.

სს საქართველოს ბანკისგან მიღებულ სესხის ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიას აქვს შემდეგი ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები).

კლიენტი ვალდებულია ბანკის წინასწარ წერილობითი თანხმობის გარეშე:

- როგორც იურიდიულმა პირმა ან სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნა, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს არ დაუშვას ძირითადი საქმიანობის სფეროს შეცვლა, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა)

ან ლიკვიდაცია ან/და ნებისმიერი მსგავსი რესტრუქტურიზაცია, გარიგება თუ სხვა ქმედება;

- არ დაუშვას საკუთარი აქტივების/ქონების ან მისი/მათი ნაწილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება ან/და სხვაგვარად დატვირთვა ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ;
- ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში არ განკარგოს ნებისმიერი სახით საკუთარი აქტივები/ქონება (ან მისი/მათი ნაწილი) ან/და შეიძინოს ნებისმიერი მესამე პირის ნებისმიერი სახის აქტივები/ქონება ან მისი/მათი ნაწილი.
- ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში არ განახორციელოს ინვესტიციები. დაიკისროს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ინვესტიციების, ან/და ხარჯების გაწევა ან/და ვალდებულებების აღება შეესაბამება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის (ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საბანკო პროდუქტების) მიზნობრიობას, ან/და განხორციელებულია კლიენტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებში;
- არ დაიკისროს რაიმე დამატებითი საბალანსო ან გარესაბალანსო კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები;
- ნებისმიერი კალენდარული წლის განმავლობაში არ გასცეს დივიდენდები, ხოლო თუ გენერალური საკრედიტო ხაზის მოცულობა არ აღემატება 2 000 000 (ორი მილიონი) ლარს, დივიდენდების გაცემა შეუძლია კლიენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მხრიდან ადგილი არა აქვს ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და სხვა შეთანხმებების დარღვევის ან/და დივიდენდის გაცემით არ იქმნება ამგვარი დარღვევის საშიშროება.
- საკუთარი და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროცედურების სრული დაცვით, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, (ა) ამგვარი ანგარიშგების წარმოება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (International Financial Reporting Standarts) და (ბ) ფინანსური ანგარიშგების შემოწმება უნდა მოხდეს ბანკისათვის მისაღები აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ.
- არ დაუშვას ბანკისათვის (მისი თანამშრომლების, წარმომადგენლების ან/და სხვა უფლებამოსილი პირების ჩათვლით) ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ნებისმიერი ზიანის (ზარალის) მიყენება ან ხარჯის დაკისრება, რომელიც ბანკს შეიძლება მიაღდეს/დაეკისროს კლიენტის, თუ მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მესამე პირის ქმედებისაგან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი/ხარჯი გამოწვეულია ბანკის (მისი თანამშრომლების, წარმომადგენლების ან/და სხვა უფლებამოსილი პირების ჩათვლით) დაუდევრობით, სამსახურეობრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით), ხოლო ამგვარი გარემოების დადგომისას სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი ამგვარი ზიანი (ზარალი), თუ ხარჯი.
- ისარგებლოს მხოლოდ ბანკის პროდუქტებით ან/და მომსახურებით, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ბრუნვის და საბანკო ანგარიშებზე ნაშთის 100 (ასი) % აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ ბანკის მეშვეობით.
- უზრუნველყოს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების, ვალდებულებებისა ან/და სხვა პირობების დაცვა.

3.13. განთავსებული კაპიტალი:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჯი სი ჯი“-ს წესდებით განსაზღვრული და დამფუძნებლების მიერ ფულადი ფორმით შევსებული კაპიტალი შეადგენდა 1215 ლარს.

კომპანია კაპიტალად არ განიხილავს პარტნიორთა წინაშე არსებულ ფინანსურ ვალდებულებებს, თუმცა 2024 წლის ბოლოსათვის, ასეთი ფინანსური ვალდებულებები არც არსებობს.

შესაბამისად, კომპანიის კაპიტალი შედგება განთავსებული კაპიტალისაგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალისაგან. მენეჯმენტი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანია დაცვა კომპანიის უნარისა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მფლობელებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მფლობელებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, მოითხოვოს მათგან კაპიტალში დამატებითი შენატანების განხორციელება ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

3.14. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:

	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები ასფალტ-ბეტონის რეალიზაციიდან	34 829 241	28 820 104
ამონაგები რეციკლირების მომსახურებიდან	4 957 767	4 562 463
ამონაგები ბიტუმის ემულსიის რეალიზაციიდან	2 381 082	8 813
ამონაგები ასფალტის დაგების მომსახურებიდან	1 198 489	-
ამონაგები ტრანსპორტირების მომსახურებიდან	1 988 295	-
ამონაგები ფრეზირების მომსახურებიდან	157 997	184 741
საიჯარო შემოსავალი	40 003	-
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	205 396	221 118
	45 758 270	33 797 239

კომპანიას მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ორი ლოკაციიდან ვაზიანიდან (გარდაბნის რ-ნი, მარტყოფი, დაბა ვაზიანი) და ლილოდან (ქ.თბილისი, ლილო, დავით კობახიძის #44).

3.15. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	2024 წელი	2023 წელი
მარაგები	26 309 211	22 358 618
ქვეკონტრაქტორის მომსახურება	2 947 670	-
შრომის ანაზღაურება	1 527 093	768 735
საწარმოო კომუნალური ხარჯები	1 979 663	1 684 832
საწარმოო დანიშნულების ცვეთა	497 194	380 124
რემონტის ხარჯები	498 868	-
თვითღირებულებაზე მიკუთვნიებული საწვავის ხარჯები	338 300	218 549
ლაბორატორიული კვლევების ხარჯი	162 242	121 108
სხვა	75 266	399 688
	34 335 508	25 931 654

3.16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
თანამშრომელთა ანაზღაურება, პრემიების ჩათვლით	2 389 250	1 351 646
კომუნიკაციის ხარჯები	-	1 706
კომუნალური ხარჯები	-	1 933
საწვავის ხარჯები	7 715	9 214
საიჯარო ხარჯები	-	3 051
დაცვის ხარჯები	-	38 670
აუდიტის ხარჯები	15 750	12 966
საკონსულტაციო ხარჯი	110 345	-
საგადასახადო ხარჯები	63 840	56 782
საბანკო ხარჯები	54 894	20 337
დაზღვევის ხარჯები	130	6 457
მიწის ნაკვეთის ხარჯები	14 046	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	17 896	13 252
ავტომანქანის და სხვა ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	7 018	3 484
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6 799	8 947
	2 687 682	1 528 447

3.17. სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი):

	2024 წელი	2023 წელი
მოთხოვნების გაუფასურება	(83 023)	(331 490)
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	(6 305)
	<u>(83 023)</u>	<u>(337 795)</u>

3.18. ფინანსური შემოსავალი:

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი დეპოზიტებიდან	66 645	20 928
	<u>66 645</u>	<u>20 928</u>

3.19. ფინანსური ხარჯი:

	2024 წელი	2023 წელი
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	333 475	40 562
	<u>333 475</u>	<u>40 562</u>

3.20. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან:

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	4 857 639	2 143 650	72 316	1 600 000	-	-	4 241 673
გადახდილი დივიდენდები	-	6 761 750	-	-	6 761 750	-	-
სულ:	4 857 639	8 905 400	72 316	1 600 000	6 761 750	-	4 241 673

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	4 183	333 635	676	333 475	-	3 346
სულ:	4 183	333 635	676	333 475	-	3 346

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	675 532	2 642 135	36 027	6 813 200	-	47 069	4 857 639
გადახდილი დივიდენდები	-	3 759 671	-	-	3 759 671	-	-
სულ:	675 532	6 401 806	36 027	6 813 200	3 759 671	47 069	4 857 639

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	1 885	38 265	-	40 562	-	4 183
სულ:	1 885	38 265	-	40 562	-	4 183

3.21. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რისთვისაც შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკა, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს.

კომპანიის მომხმარებლების შესახებ არ არსებობს გამოქვეყნებული საკრედიტო რეიტინგები. აქედან გამომდინარე, კომპანია მომხმარებლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების შესახებ

ინფორმაციის შეგროვებს გზით (სადაც ეს შესაძლებელია) და მომხმარებლებისთვის, მათთან წარსული ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, დებიტორულ დავალიანების სიდიდეზე ლიმიტის დაწესების გზით.

კომპანია მომხმარებლებისგან არ მოითხოვს სავაჭრო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, ფასს 9-ს მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანიამ მოახდინა სავაჭრო მოთხოვნების დაჯგუფება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

31.12.2024

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვეზე მეტი ხნით, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო)	1 012 268	71 016	182 840	577 468	1 843 592
საბალანსო ღირებულება	-	(7 102)	(44 018)	(577 468)	(628 587)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	-	-	-	-
სულ:	1 012 268	63 914	138 822	-	1 215 005

31.12.2023

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვეზე მეტი ხნით, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო)	1 398 811	345 716	206 705	462 682	2 413 915
საბალანსო ღირებულება	-	(34 572)	(48 310)	(462 682)	(545 564)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	-	-	-	-
სულ:	1 398 811	311 145	158 394	-	1 868 351

წარმოდგენთ გაუფასურების ზარალის შეჯერების ცხრილს:

	2024 წ.	2023 წ.
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	(545 564)	(214 265)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(83 023)	(350 555)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ანულისება (გადახდის ან უიმედო ვალად აღიარების გამო)	-	19 256
ნაშთი პერიოდის ბოლოს	(628 587)	(545 564)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული არადისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მათი ვადიანობის მიხედვით.

31.12.2024	0 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-დან 7 წლამდე	ჯამი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	1 843 592	-	-	1 843 592
სულ ფინანსური აქტივები	1 843 592	-	-	1 843 592
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	153 772	-	-	153 772
ნასესხები თანხები	77 927	388 699	3 778 393	4 245 019
სულ ფინანსური ვალდებულებები	231 699	388 699	3 778 393	4 398 791
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	1 611 892	(388 699)	(3 778 393)	(2 555 199)

31.12.2023	0 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-დან 7 წლამდე	ჯამი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	2 413 915	-	-	2 413 915
სულ ფინანსური აქტივები	2 413 915	-	-	2 413 915
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	278 184	-	-	278 184
ნასესხები თანხები	324 249	231 203	4 306 371	4 861 822
სულ ფინანსური ვალდებულებები	602 432	231 203	4 306 371	5 140 005
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	1 811 483	(231 203)	(4 306 371)	(2 726 091)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

რაოდენობრივი ანალიზი საპროცენტო რისკებთან დაკავშირებით არ ჩატარებულა, რადგან 2024 წლის ბოლოს აქვს სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ – „საქართველოს ბანკის“ წინაშე და აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შეცვლა არ არის მოსალოდნელი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს და აშშ დოლარის მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და

კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2024 წ.

	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 972 108	112	1 972 221
აქტივები სულ:	1 972 108	112	1 972 221
სავაჭრო ვალდებულებები	-	(316)	(316)
მოკლევადიანი სესხები	(3 346)	-	(3 346)
გრძელვადიანი სესხები	(3 778 393)	-	(3 778 393)
ვალდებულებები სულ:	(3 781 739)	(316)	(3 782 055)
ნეტო შედეგი	5 753 847	428	5 754 276
Euro (10% ცვლილება)	575 385		
USD (10% ცვლილება)	43		

31 დეკემბერი, 2023 წ.

	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	108	108
აქტივები სულ:	-	108	108
მოკლევადიანი სესხები	555 451	-	555 451
გრძელვადიანი სესხები	4 306 371	-	4 306 371
ვალდებულებები სულ:	4 861 822	-	4 861 822
ნეტო შედეგი	(4 861 822)	108	(4 861 714)
Euro (10% ცვლილება)	(486 182)		
USD (10% ცვლილება)	11		

3.22. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები:

**განხორციელებული ტრანზაქციები
პარტნიორთან**

	2024 წელი	2023 წელი
	GEL	GEL
სავაჭრო ვალდებულებები	1 000	67 400
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	136	133
შესყიდვები (მარაგები)	105 046	2 698 232
შესყიდვები (ძირითადი საშუალებები)	4 723 285	-
შესყიდვები (მომსახურებები)	-	11 186
შემოსავლები	-	2 116
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაციული)	3 450	3 833
მივლინების ხარჯები	2 527	-
სხვა ხარჯები	847	-

**განხორციელებული ტრანზაქციები
ძირითად მენეჯმენტთან**

	2024 წელი	2023 წელი
	GEL	GEL
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	931 400	131 880
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაციული)	1 115 404	423 864
მივლინების ხარჯები	3 202	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	2024 წელი	2023 წელი
	GEL	GEL
სავაჭრო ვალდებულებები	40 362	9 480
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	931 477	131 880
შესყიდვები (მარაგები)	598 425	164 875
შესყიდვები (მომსახურებები)	148 332	120 475
შემოსავლები	45 592	-
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაციული)	1 093 148	375 095

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული

შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.23. სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აწარმოებდა სასამართლო დავას შპს „ენკო“-ს (ს/ნ 402004718) წინააღმდეგ დებიტორული დავალიანების ამოსაღებად. შპს „ჯი სი ჯი“-ს შპს „ენკოს“ წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა 2024 წლის ივნისის თვეში მოპასუხისთვის თანხის - 67 445.88 ლარის დაკისრების მოთხოვნით. აღნიშნული დავალიანება წარმოადგენს მიწოდებული ასფალტ-ბეტონის ღირებულებას. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სრულად ცნო სარჩელი. პირველი ინსტაციის სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის სასარჩელო განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის შპს „ჯი სი ჯი“-სთვის არ არის ჩაბარებული დასაბუთებული გადაწყვეტილება. მოპასუხის მიერ გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, მოსალოდნელია დავის კვლავ შპს „ჯი სი ჯის“ სასარგებლოდ დასრულება.

3.24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- 2025 წლის ივნისის თვეში შპს „ჯი სი ჯი“-მ მეკავშირე საწარმოსგან – შპს „ქემიქალსი“-სგან შეისყიდა ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ფიზიკური და მექანიკური ლაბორატორიული კვლევებისთვის განკუთვნილი ყველა აქტივი.

- შპს „აშკავეთმა“ (ს/ნ 208182928) სარჩელი შეიტანა შპს „ჯი სი ჯი“-ს წინააღმდეგ. 2025 წლის თებერვლის თვეში მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტისა და შპს „ჯი სი ჯი“-ს მიერ შპს „აშკავეთი“-ს ტერიტორიაზე მოწყობილი გაზგამანაწილებელი სადგურის დემონტაჟის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წლის 25 სექტემბრამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 25 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ჯი სი ჯი“

მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

მმართველობითი ანგარიშგება

1.	საქმიანობის მიმოხილვა	1
2.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	4

საქმიანობის მიმოხილვა

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შესავალი

„ჯი სი ჯი“ წარმოადგენს ფართო სპექტრის საგზაო სამშენებლო კომპანიას (შემდგომში - *კომპანია*). ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ასფალტო-ბეტონის წარმოება, მისი ტრანსპორტირება და დაგება, საგზაო ბიტუმის ემულსიის წარმოება, რეალიზაცია და მოსხმა. ასევე ისეთი სახის საგზაო სამშენებლო მომსახურებების გაწევა, როგორიცაა ფრეზირება და საფუძვლის სტაბილიზაცია/რეციკლირება დანადგარების სრული კომპლექტით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპანიას ამ სფეროებში საქართველოს ბაზარზე მნიშვნელოვანი წილი უკავია.

შპს „ჯი სი ჯი“-ს მეკავშირე საწარმო (40% წილობრივი მონაწილეობით) შპს „ქემიქალსი“ (ს/ნომერი 405039426) წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილესი „ITERCHIMICA“ ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. შპს „ქემიქალსი“ ახორციელებს სპეციფიკური ქიმიური საშუალებების, კერძოდ, ემულგატორებისა და ადგეზიური დანამატების იმპორტსა და რეალიზაციას საქართველოში, რაც ეხმარება მწარმოებლებს აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია.

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ჯი სი ჯი“-ს მიზანია განახორციელოს დამატებითი ინვესტიციები არსებული ბიზნესის განვითარებაში. კერძოდ, მოახდინოს სინერგიის შექმნა და ერთი ქოლგის ქვეშ შეთავაზოს მომხმარებლებს სრული საგზაო-სამშენებლო პროდუქტები და სერვისები.

ასევე, კომპანიამ უკვე გადადგა ნაბიჯები და განახორციელა პირველადი ინვესტიცია საკუთარი წარმოების საჭიროების ქვიშა-ლორღის მომარაგების კუთხით. კერძოდ, შეიძინა მიწის ნაკვეთი და გეგმავს განახორციელოს დამატებითი ინვესტიცია და მოაწყოს თანამედროვე ქვიშა-ლორღის გადასამუშავებელი და სამსხვრევი საამქრო.

2024 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია წარმოადგენს მე-2 ზომითი კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მისთვის, როგორც მე-2 ზომითი კატეგორიის კომპანიისთვის, წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2024 წელს ასეთია:

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - 45,758,270 (ორმოცდახუთი მილიონ შვიდას ორმოცდათვრამეტი ათას ორას სამოცდაათი) ლარი.

მოგება ძირითადი საქმიანობებიდან - 11,422,762 (თერთმეტი მილიონ ოთხას ოცდაორი ათას შვიდას სამოცდაორი) ლარი.

მოგება პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (ე.წ. EBITDA) – 9,263,264 (ცხრა მილიონ ორას სამოცდასამი ათას ორას სამოცდაოთხი) ლარი.

მოგება დაბეგვრამდე - 8,481,344 (რვა მილიონ ოთხას ოთხმოცდაერთი ათას სამას ორმოცდაოთხი) ლარი.

აქტივების ჯამი 31.12.2024 წ. მდგომარეობით - 15,657,103 (თხუთმეტი მილიონ ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას სამი) ლარი.

არაფინანსური საკითხები

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი წვლილი შეაქვს კომპანიის წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ დასაქმებულია ჯამში 45-მდე ადამიანი.

კომპანია ჩვეულებრივ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწყვედ მუშაობა.

შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას, რისთვისაც კომპანია ახორციელებს რიგ ღონისძიებებს და რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის უსაფრთხო-კომფორტული გარემოს შექმნას. დღეისათვის კომპანიას ჰყავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისად სერტიფიცირებული და აკრედიტირებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურე კომპანია (შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“).

კომპანია ზრუნავს, რომ დანერგოს და განავითაროს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე სტანდარტები, რითაც უზრუნველყოფს კომპანიაში დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას, უსაფრთხო სამუშაო გარემოს და ამით სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას.

კომპანია ზრუნავს არა მხოლოდ საწარმოში დასაქმებული პერსონალის, არამედ კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორი და საწარმოში ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე.

კომპანია წარმატებით იყენებს და ნერგავს საქართველოს მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებს და ზრუნავს გათვალისწინებული მოთხოვნების გაუმჯობესებაზე. ჩვენი შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალური ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს კომპანიის მიერ მიღწეული შედეგების მდგრადობის გარანტს.

კომპანია ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების მიხედვით საფრთხეების იდენტიფიცირებას და რისკების შეფასებას, სისტემის გაუმჯობესების მიზნით სახავს მიზნებს და ადგენს პროგრამებს, საზღვრავს პერსონალის როლს, პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს, ქმნის პერსონალის სწავლების ბაზას და ატარებს სწავლებებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ქმნის სამუშაოს შესრულების

მეთოდოლოგიებს და პროცედურებს თანამედროვე ფორმატის მიხედვით, ქმნის ინციდენტების მოკვლევის და მოხსენების, ასევე მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების მყარ ბაზას, ქმნის და აწვითარებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას თანამედროვე ფორმატში და ნერგავს ინციდენტების მართვის ცენტრალიზებულ სისტემას, ახორციელებს დაკვირვებებს მიმდინარე საოპერაციო პროცესებზე და ზრუნავს შეუსაბამოების აღმოფხვრაზე. მიზანია, შექმნას მყარი ბაზა პირველი, მეორე და მესამე მხარის აუდიტების ჩასატარებლად და დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები.

გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ *კომპანიის* საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან ყურადღებით ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით *კომპანიაში* არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება, რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით საწარმოო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში.

საწარმოო ნარჩენების უტილიზაცია უმნიშვნელოვანესი საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელია შესაბამისი პროცესების სწორად და ეფექტიანად მართვის შემთხვევაში. *კომპანია* ეფექტიანად მართავს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციების დახმარებით საწარმოში წარმოქმნილ, როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენებს, ახორციელებს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ნარჩენების შემცირება, ხელმეორედ გამოყენება, განთავსება/უტილიზაცია და სხვა. საწარმოო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც *კომპანიაშია* დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან გასამკლავებლად.

ჩვენ დავნერგეთ საწარმოო ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა, რაც გულისხმობს კონკრეტული გეგმის არსებობას და მის ზედმიწევნით შესრულებას (ნარჩენების მართვის გეგმა) და საბოლოოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ანგარიშის წარდგენას. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, მდგომარეობა, სახიფათოობა, წონა. საწარმოს პერსონალს გავლილი აქვს სწავლებები გარემოს დაცვის სფეროში.

საწარმოს ტერიტორიაზე შექმნილია სპეციალური ადგილები (ნარჩენების დროებითი დასაწყობების ტერიტორია), სადაც ხდება ნარჩენების შესაბამისი დასაწყობება და შენახვა (არაუმეტეს 1 თვისა), სანამ მათი ტერიტორიიდან გატანა მოხდება.

საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის დაცვა, რისთვისაც *კომპანიას* მომზადებული აქვს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულდა დასაშვები გაფრქვევის პროექტი“ და რის მიხედვითაც ახორციელებს სამუშაო პროცესებს, ხოლო ყოველწლიურად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგენს შესაბამის ანგარიშგებას.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს და ამ საკითხში ჩართული გვყავს აკრედიტირებული კომპანია (შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“).

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც გამოვლენილია პარტნიორების მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- *კომპანია* ოპერირებს ბიზნეს-გარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება *კომპანიის* რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგს სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. *კომპანიაში* გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლის მექანიზმები, რათა *კომპანიამ* კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. *კომპანიის* იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა არსებითი ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. *კომპანიაში* რეგულარულად გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ ტარდება შიდა აუდიტი. შედეგები განიხილება შესაბამისი მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.
- *კომპანიის* წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი კადრები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, *კომპანიის* განვითარება, შეთავაზებული საქონლისა და სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და *კომპანია* ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება კონკურენტულ ანაზღაურებასა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.
- *კომპანიის* შემოსავლებზე არსებითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ასევე საბაზრო რისკებმა, კერძოდ ქვეყანაში არსებული არასაკმარისი რეგულაციებისა და კონტროლის არსებობის გამო, *კომპანია* შეიძლება აღმოჩნდეს არახელსაყრელ და არაკონკურენტულ გარემოში სხვა მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს *კომპანიას*. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება დამოუკიდებელი, ობიექტური და სერტიფიცირებული საწარმოო ლაბორატორიის აშენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ წარმოებული საქონლის მაღალ ხარისხს.
- *კომპანიას* აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს. აღნიშნული რისკების შესამცირებლად *კომპანიას* დანერგილი აქვს სხვადასხვა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა და მომავალშიც გააგრძელებს ახალი პროგრამების დანერგვას.

- 2020-2022 წლებში, მსოფლიო მასშტაბით და მათ შორის საქართველოში გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ იქნა პანდემიად. იმ წლებში ამან კომპანიას შეუქმნა გარკვეული სირთულეები. ამჟამად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პანდემიის ზეგავლენა მის ძირითად მომხმარებლებსა და საქმიანობაზე სრულად ამოიწურა და საქმიანობა დაუბრუნდა ჩვეულ რიტმს, ხოლო ზოგიერთი მიმართულებით გადაასწრო კიდევაც პანდემიამდელ მაჩვენებლებს, რასაც ადასტურებს 2024 წლის ყველა ფინანსური მაჩვენებელი.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ჯი სი ჯი“ დირექტორის კობა ჭანტურიას მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს:

  კობა ჭანტურია



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი სი ჯი“-ს 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ჯი სი ჯი“-ს პარტნიორებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი სი ჯი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი – 405039015) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფას-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს: ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობის შესახებ

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრილია ამავე საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე


ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

25 სექტემბერი, 2025 წელი

